



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 14 ივნისი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 ივლისი, 2022 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი გეოგრაფია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	გეოგრაფიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან ავტორიზებულ რეჟიმში ხორციელდება სამაგისტრო პროგრამა „კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა“. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ წარმოადგენს არსებული პროგრამის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომელმაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება როგორც შინაარსობრივად, ასევე სტრუქტურულად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ ითვალისწინებს შრომის ბაზრის, სფეროსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. ვინაიდან გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების ახალ რელსებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ფიზიკური გეოგრაფიის დარგის პრაგმატულობიდან გამომდინარე, პროგრამის აქტუალობა გამომდინარეობს დარღვეული ბუნებრივი გარემოს აღდგენა-დაცვისა და დინამიკური წონასწორობის შენარჩუნების სტრატეგიიდან და ემსახურება მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას. პროგრამა შეძლებს დარგის მიმართულეებით კვალიფიციური კადრების მომზადებას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 02 ივნისის ბრძანების MES 3 22 0000576673 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და 14 ივნისს ქ. თბილისში განხორციელა ვიზიტი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, ორმხრივი ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმე-

ბული დღის წესრიგის შესაბამისად: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მისი განხორციელების გზები. ინტერვიუს დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა ძირითადი მიგნებები.

ექსპერტების მიერ გაანალიზდა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსობრივი მხარე, შესწავლილი იქნა მოწოდებული სილაბუსები და პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული. ასევე, დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებისა და მისიის გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ მოწოდებულია, აღზარდოს ღრმა და სისტემური გეოგრაფიული ცოდნის, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, შრომის ბაზრის შესაბამისი განათლების, ცოდნის გაღრმავების მოთხოვნილების მქონე სპეციალისტი. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო, პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული განათლების მიღებას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები პროგრამაში აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენენ ცოდნისა და გაცნობიერების და უნარების ერთობლიობას. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც ადეკვატურია და მოცემულია სილაბუსებში. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოქნილი სისტემით იმართება, რესურსები კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტიპის აუდიტორიებით. ბიბლიოთეკაში დაცულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრო-

ნული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, კურსდამტავრებულებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალი-სათვის. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პროგრამის მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტია სავლე-კომპლექსური პრაქტიკა, რომლის მიზანია ბუნებრივი გარემოს კომპონენტების აგეგმვის, აღწერისა და კარტირების უნარების ჩამოყალიბება. პრაქტიკას სამი ასპექტი გააჩნია: განათლებითი - დაკვირვების ხერხების გამომუშავება; განვითარებითი - ბუნება-ადამიანის სისტემის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა; საგანმანათლებლო - სავლე-ექსპედიციურ პირობებში ერთობლივი საქმიანობის ნორმების გამომუშავება.

პროგრამას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რასაც ემატება სტაბილური, პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.

„დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხისა და ექსპერტთა პოზიციის შეჯამება“

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: პირველ რიგში, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხიდან დასტურდება, რომ სამაგისტრო პროგრამაში გარკვეული ცვლილებების განხორციელების მზაობა არსებობს, რაც ძალიან კარგია. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება იმას, რომ დაწესებულება უმეტესწილად ეთანხმება ჩვენს პოზიციას და, რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომავალში იგეგმება გარკვეული ცვლილებების შეტანა სამაგისტრო პროგრამაში, თუმცა აქვე აღსანიშნავია ის, რომ ექსპერტებმა უნდა იხელმძღვანელონ დაწესებულების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე, ინტერვიუს დროს გაჟღერებული ფაქტობრივი გარემოებებით. ვიზიტის შემდგომი ახალი გარემოებები ან მომავალში დაგეგმილი ღონისძიებები მხედველობაში ვერ მიიღება. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები უცვლელად უნდა დარჩეს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისად:

სტანდარტი 1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- 4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 5.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.1. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მით უფრო, რომ გაცნობითი ხასიათის კურსი არის გაღრმავებისა და განმამტკიცებელი კურსის აუცილებელი წინაპირობა.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის ტესტი და საკითხი იქნება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე და როგორი იქნება მათი შეფასების მექანიზმები; რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფარგლებში მაგისტრანტობის კანდიდატმა დაადასტუროს უცხო ენის ფლობაც.
- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია, ქალაქის ანთროპოგენული გარემო, სამედიცინო გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კონსტრუქციული მართვა) სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის განახლება ან ალტერნატიული წყაროს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რიდერი, სალექციო კურსი).
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საკონტაქტო საათებისა, რომელიც ყველა სილაბუსში შეადგენს 65 საათს, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.
- რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდი შეფასების მეთოდებისგან; ასევე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდეს და ყურადღება გამახვილდეს სწავლების ისეთ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს (გონებრივი იერიში, სოკრატე-სეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, პროექტის შემუშავება და სხვა).
- რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლითაც წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების გამოყენება.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე სრულფასოვანი წვდომა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც გააერთიანებს მონაცემებს სწავლის შედეგების, დარგის სპეციფიკის, შინაარსობრივი თუ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ; „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილებაში

არსებული ჩანაწერი გასწორდეს კანონის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები.

- რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართული როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ისე გადამუშავებისა და განვითარების პროცესში; ასევე, წარმოებდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაძლიერდეს მუშაობა.
 - სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში აქტიურად იყოს გამოყენებული თანამედროვე უცხოურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია უცხო ენების სწავლების გაძლიერებასთან სსუ-ში და, ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს, გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში;
 - მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ბაზა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლებულია, სასურველია თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვა და დინამიკაში სტრატეგიის შენარჩუნება;
 - სასურველია, უნივერსიტეტმა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ოდენობის გაზრდის მიმართულებით მუშაობა გააგრძელოს როგორც ახალგაზრდა მკვლევრების, ისე გამოცდილი კადრების წახალისების მიზნით.
 - სასურველია, ტექნიკური უზრუნველყოფის დახვეწის პარალელურად, გაუმჯობესდეს კითხვარების შინაარსი (ცალ-ცალკე შეფასეს საგანი, ლექტორი, სასწავლო პროცესი);
 - სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებული პირის გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე ოფიციალური წესით შედგეს რეაგირების ოქმები, განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია იყოს უფრო სრულყოფილი.
 - სასურველია, რომ ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან და განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების შესახებ მონაცემები აისახოს „პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების“ (5.3-ის) სტანდარტში; კარგი იქნება, პროგრამის განვითარების მიზნით უფრო მეტი ყურადღება მიექცეს გარე კოლეგიალური შეფასებისას გამოთქმულ რეკომენდაციებს.
 - სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას გამოვლენილი პრობლემების გამოსწორების, მიღებული შედეგების გაანალიზების, გამოყენებისა და სხვა მიმართულებით; ასევე, კარგი იქნება, წარმოებდეს ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების ანალიზი, მიღებული შედეგები კი გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარებისთვის.
 - სასურველია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სისტემატური კვლევა, რათა სამაგისტრო პროგრამა მუდმივად დინამიკასა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იყოს ორიენტირებული.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი გეოგრაფია“ შედგება ორი კონცენტრაციისაგან: 1. კონცენტრაცია - საინჟინრო გეოგრაფია და 2. კონცენტრაცია - კონსტრუქციული ეკოგეოგრაფია. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ასახული ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებაც გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმას და წინამდებარე პროგრამა ორიენტირებულია აღზარდოს საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის კონკურენტუნარიანი, გარემოსთან ადაპტირებადი, კვალიფიციური, მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მატარებელი პიროვნება, ბუნებრივი გარემოს მიმართ ლოიალური და გონივრული დამოკიდებულების მქონე სპეციალისტი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებისა და მისიის გათვალისწინებით, გამოყენებითი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა მოწოდებულია, აღზარდოს ღრმა და სისტემური გეოგრაფიული ცოდნის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, შრომის ბაზრის შესაბამისი განათლების, ცოდნის გაღრმავების მოთხოვნილებების მქონე სპეციალისტი. აქედან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო, პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული განათლების მიღებას.

პროგრამის მიზნები განაპირობებენ შემდეგი კომპეტენციების შექმნას: სავალდებულო: 1. გეოგრაფიული თეორიების ვერიფიკაცია, სავლელე დაკვირვებები, მონაცემთა დამუშავება გსს-ითა და გრაფიკული პროგრამებით, მოვლენათა ტრანსფორმაციის პროგნოზული მოდელირება, რეგულირების სქემების შექმნა, მართვის ინოვაციური ექსპერიმენტების პრაგმატული შეფასება, ანალიზი და დასკვნები; 2. ჰავის სარტყლების პრინციპული სქემების კლიმატოგრაფიული შეფასებები და ინტერპრეტაცია, რეგიონული დაგეგმარება და ეკოსაფრთხეების რეგულირების ინოვაციური სქემების პრაგმატული (ტურიზმი, რეკრეაცია) ათვისება. კონცენტრაციის - საინჟინრო გეოგრაფია: 3. მოწყვლადი ობიექტების (ნაპირები, მეწყრები, კლდეზვავები) ექსპლოატაციისა და ტექნოგენური წნეხების ინდიკაციის (ფიქსაცია-შეფასება) ანალიზი და პროგნოზი, ინჟინერული დაცვის, რეგულირების, ექსპერიმენტების შეფასებები; 4. ლანდშაფტური დაგეგმარება და სტიქიის ინტეგრირებული მართვა, საზღვრების გამიჯვნის სამართლებრივი შეფასებები,

ენერგეტიკის ეკოგეოგრაფიული წნეხების სინოპტიკური მეტეოკონტროლი; კონცენტრაციის - კონსტრუქციული ეკოგეოგრაფია: 5. ეგზოდინამიკური პროცესების გენერირებისა და ეკოლოგიური საფრთხეების პრევენციის, გლაციალური და კარსტული არელების პრაგმატული (ტურიზმი, რეკრეაცია) ათვისების სქემების შემუშავება; 6. ბუნებრივი რესურსების ტექნოგენური ტრანსფორმაციის იდენტიფიცირება, ურბანული გარემოს მართვა, კლიმატის სამედიცინო შეფასებისა და სოციალური (ტურიზმი) გაჯანსაღების სქემების ინიცირება.

ასევე, უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, რომ ამ კუთხით სამუშაოა, თუმცა მემორანდუმებისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მათი მზაობა ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავების პერიოდში გაზიარებული იყო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან, რომელთა მონაწილეობით პროგრამამ გაიარა ცალკეული ცვლილებები და მისი განხილვა შემდეგ ეტაპზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ სხვადასხვა პირთა წინაშე. თუმცა დადგინდა დამსაქმებლების მეტი ჩართულობის აუცილებლობა (იხ. 5.1 კომპონენტი). პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიან კურსდამთავრებულს შესწევს უნარი, თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსუ-ს მისია;
- სსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დებულება;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.sou.edu.ge> ;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გაძლიერდეს მუშაობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის დასახულ მიზნებს. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრულია არსებული რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება

1.1. სიღრმისეულად აღწერს ძირითად გეოგრაფიულ თეორიებსა და დებულებებს, სავსე მონაცემთა ანალიზის ძირითად მეთოდებს; აყალიბებს კანონზომიერებებს; ფლობს გეო საინფორმაციო და გრაფიკულ პროგრამებს, ახდენს სავსე ექსტრემალური მოვლენების ინდიკაცია-გამოვლენას; ეკოსაფრთხეების ინოვაციური სქემების ინიცირებას;

1.2. სიღრმისეულად აღწერს კლიმატური სარტყლების ინტერპრეტაციის, რეგიონების პროგნოზული მოდელების შექმნის მეთოდებს; განსაზღვრავს ჰავის თანამედროვე მდგომარეობას; ფლობს კლიმატური დათბობის პროგნოზის საფუძვლებს, ჰავის რესურსების კვლევის მეთოდებს; აცნობიერებს ჰავა-საზოგადოების თანამეხამების პრაქტიკული ასპექტების მიზანშეწონილობას.

კონცენტრაცია - საინჟინრო გეოგრაფია:

2.1. სიღრმისეულად ფლობს მობილური სისტემების ტექნოგენური ექსპლოატაციის შეფასების. მოწყვლადი ობიექტების საინჟინრო დაცვის, მართვა-რეგულირებითი ექსპერიმენტების გეო- და მორფოდინამიკურ მეთოდებს, აყალიბებს საზღვრების სამართლებრივი გამოქვინის კარტოგრაფიული უზრუნველყოფის საკითხებს;

2.2. ახდენს მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, სინოპტიკურ პროგნოზირებას, რეგიონების ლანდშაფტურ დაგეგმარებასა და ტექნოგენური ტრანსფორმაციის ფიქსაციას; აყალიბებს საინჟინრო გეოგრაფიულ კონცეფციებს;

2.3. ქმნის ნაპირების მორფოდინამიკის ინფორმაციულ ბაზას; ახდენს მონაცემთა ანალიზს, აბრაზიის რაოდენობრივი-თვისებრივი ნიშნების გამოვლენას, სანაპიროს კაპიტალური ნაგებობებით დაცვისა და აღდგენის ალტერნატიული ექსპერიმენტების დანერგვის მიზანშეწონილების გაცნობიერებას;

2.4. განსაზღვრავს გარემოზე ენერგეტიკის წნეხების ნეგატიურ ზემოქმედებას, ენერგოსისტემების გონივრული ათვისებისა და განლაგების პრინციპებს; აცნობიერებს ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო პრაქტიკის შედეგების პრევენციული რეგულირების აუცილებლობას.

კონცენტრაცია - კონსტრუქციული ეკოგეოგრაფია:

3.1. სიღრმისეულად ფლობს ურბანული გარემოს ტექნოგენური იდენტიფიკაციის, სტიქიის ეკოგეოგრაფიული საფრთხეების პრევენციისა და ინტეგრირებული

მართვის თეორიებს; აყალიბებს ავადობის გავრცელების კანონზომიერებებს; აყალიბებს ტურიზმისა და კლიმატური რესურსების თანაშეხამების პრინციპებს, ახდენს რეგიონების სამედიცინო-გეოგრაფიულ შეფასებებს;

3.2 ახდენს ეგზოდინამიკის პროცესების ტექნოგენური ტრანსფორმაციასა და სტიქიის გენერირების ინდიკაციას; ადგენს გლაციალურ-კარსტული არელების გეოდინამიკის ფაქტორებსა და პარამეტრებს, ფენომენების გენერირების გეოგრაფიულ პრინციპებს; აცნობიერებს მღვიმეებისა და მყინვარების გონივრული ათვისების მიზნშეწონილობას;

3.3. სიღრმისეულად ფლობს კონსტრუქციული გეოგრაფიის თეორიებს, გარემოს კომპონენტების სივრცე-დროითი ცვლილებების პრინციპებსა და მართვის ბერკეტებს; ახდენს ბუნებრივ-სოციალური და ინდუსტრიული კომპონენტების ასახვას, აფასებს ადამიანის ბუნებაზე გავლენის ნეგატიური შედეგების პრევენციის ღონისძიებებს;

3.4. განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების კვლევის ინოვაციურ მეთოდებს, ფორმირების, გავრცელების, ათვისების პრინციპებს; იცნობს ინოვაციური მეთოდებსა და დაცვის პრობლემებს; აცნობიერებს ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკოუსაფრთხოების სქემების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობას;

უნარი

1.3. გარემოს ობიექტების აღწერის, სავლელ დაკვირვებების მონაცემთა ინტერპრეტაციის, იდენტიფიკაციის, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, გსს-ისა და გრაფიკული პროგრამების გამოყენების უნარები;

1.4. ჰავის ექსტრემალური საფრთხის გამოთვლის, ცხრილების (სქემების) შედგენის, კლიმატის კომფორტული მდგომარეობის შეფასების (CLO), უნარები; გააჩნია კვლევის განხორციელების, კლიმატური პრობლემების ინოვაციური (ექსპერიმენტები) გადაწყვეტისა და პროექტების შემუშავების უნარები.

კონცენტრაცია - საინჟინრო გეოგრაფია:

2.5. საზღვრის საკვანძო წერტილების გეოინფორმაციული ანალიზისა და სადელიმიტაციო მასალის მომზადების, მობილური ობიექტების წნეხების ფიქსაციის, პროგნოზირების, ინჟინრული დაცვის ნაგებობათა შეფასებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის, ლანდშაფტური დაგეგმარების კარტოგრაფიული უზრუნველყოფის, მეტეოელემენტების ინდიკაციისა და სინოპტიკური სქემების შედგენის უნარები;

2.6. დინამიკური ობიექტების შესახებ ინფორმაციის კომპლექსური შეგროვების, დახარისხებისა და ანალიზის, დაცვითი კონსტრუქციების ბუნებრივი ანალოგების შემუშავებისა და პროგნოზის, ენერგეტიკა-გარემოს სისტემის ეკონომიკურ-ეკოლოგიური მდგომარეობის ასახვისა და შეფასების, ზღვა-ნაპირი-მდინარე-ადამიანის სისტემის მდგრადობის ღონისძიებების პრაქტიკაში რეალიზაციის უნარები;

კონცენტრაცია - კონსტრუქციული ეკოგეოგრაფია:

3.5. ეგზოდინამიკური ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და საფრთხეების (წნეხების) პრევენციის, კარსტისა და მყინვარების კარტირებისა და ათვისების სქემების გეოგრაფიული შეფასების უნარები;

3.6. ქალაქის ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირების, ამინდისა და კლიმატის სინოპტიკური და სამედიცინო შეფასების, ტურიზმის SWOT ანგარიშის შედგენის, ეკოსაფრთხეების პრევენციის კონსტრუქციულ-გეოგრაფიული პროექტების (სქემების) შედგენის უნარები.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1.5. აცნობიერებს ბუნების ობიექტების დაცვის მიზნით გსს-ის გრაფიკული პროგრამების, ტოპო - და კარტოინფორმაციების სტანდარტების დაცვის, ექსპერიმენტების, პროგნოზული მოდელებისა და საზღვრების გამიჯვნის სამართლებრივი შეფასებების, ეკოგეოგრაფიული წნეხების სინოპტიკური მეტეოკონტროლის გაწვის აუცილებლობას;

1.6. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარების, კვლევების წარმართვისა და შედეგების რეალიზაციის განვითარების საკითხებში, დამოუკიდებელად წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. მათი ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები და მათ აქვთ კარგად გააზრებული ერთიანი ხედვა და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური (პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების (ბრძანება #69/ნ, 10.04.2019, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად).

მართალია, პროგრამაში წარმოდგენილ სწავლის შედეგების რუკაში ნათლად ჩანს სწავლის შედეგების და მიზნების შესაბამისობა, თუმცა განმამტკიცებელი სასწავლო კურსები და მათში მითითებული შესაფასებელი ნაწილების მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან ნათლად არ იკვეთება. უფრო მეტად საყურადღებოა, რომ ვერ დგინდება, რატომ არაა კურიკულუმის რუკაში რომელიმე სასწავლო კურსი გაცნობითი ხასიათის, რომელიც განიხილება გაღრმავებისა და განმამტკიცებელი კურსის აუცილებელ წინაპირობად. ეს კიდევ უფრო ცხადია, რადგან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში მიიღებენ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს ნებისმიერი სფეროდან. საქმე ისაა, რომ თუმცა სასწავლო კურსები გადის გაღრმავება (2) და განმამტკიცების (3) დონეზე და არც ერთი საგანი არ გადის „გაცნობის“ დონეზე, შესაბამისად, სწავლის შედეგების რუკა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე სასწავლო კურსის მიმართ „გაცნობის“ დონეს, რადგან საგნები პირდაპირ „გაღრმავებისა“ ან „განმამტკიცების“ დონეზე ვერ გავა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;

<ul style="list-style-type: none"> • გამოკითხვის შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.sou.edu.ge ; • ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავების“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები, მით უფრო, რომ გაცნობითი ხასიათის კურსი არის გაღრმავებისა და განმამტკიცებელი კურსის აუცილებელი წინაპირობა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფია“ დაშვების წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები;
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ფიზიკურ გეოგრაფიაში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე - აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
- პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება შესაძლებელია, აგრეთვე, მობილობით - სსუ-ის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების შესაბამისად - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

- მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sou.edu.ge

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ტესტები, საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა, თუმცა რეგულაციებით არსად არაა განსაზღვრული, გამოცდაზე რა რაოდენობის ტესტი და რა რაოდენობის საკითხი იქნება წარდგენილი და შესაბამისად როგორი იქნება შეფასების მექანიზმი.

ამასთან, ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებად დაწესებულების წარმომადგენლები მოიაზრებენ უცხო ენაში (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ან რუსულ ენას) გამოცდის ჩაბარებასაც, თუმცა ეს პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტში არ ჩანს. აქვე აღსანიშნავია, რომ საინჟინრო გეოგრაფიის კონცენტრაციაში ერთ-ერთი საგანია „გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია“, რომლის სილაბუსით სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ უცხოენოვანი ნაშრომებია წარმოდგენილი. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივი უცხო ენის სასწავლო კურსებს, მაგრამ თუ აპლიკანტმა არ დაადასტურა კომპეტენცია გარკვეული დონე უცხო ენაში, ბუნდოვანი რჩება, როგორ დაძლეოს ის დარგობრივ უცხო ენას. შესაბამისად, შედეგობრივად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაც ითვალისწინებდეს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარებას ან შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენას ამ გამოცდისგან გასათავისუფლებლად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ერთ-ერთ ნაწილად უცხო ენის გამოცდის ჩაბარება ან შესაბამისი დონის უცხო ენის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენა აუცილებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.sou.edu.ge> ;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განისაზღვროს, თუ რა რაოდენობის ტესტი და საკითხი იქნება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე და როგორი იქნება მათი შეფასების მექანიზმები; რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ფარგლებში მაგისტრანტობის კანდიდატმა დაადასტუროს უცხო ენის ფლობაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფია“ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები პროგრამაში აღწერილია მისაღწევი დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციებით, რომლებიც წარმოადგენენ

ცოდნისა და გაცნობიერების და უნარების ერთობლიობას. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, გათვალისწინებულია შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც ადეკვატურია და მოცემულია სილაბუსებში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფია“ ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის:

- სავალდებულო სასწავლო კურსები / კომპონენტები - 48 ECTS კრედიტი;

- სავალდებულო არჩევითი კონცენტრაცია - საინჟინრო გეოგრაფია - 72 ECTS კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი;

- სავალდებულო არჩევითი კონცენტრაცია - კონსტრუქციული ეკოგეოგრაფია - 72 ECTS კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, გეოგრაფიული დარგის კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი საქმიანობის განხორციელებას:

- მეტეოელემენტებზე დაკვირვებების ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და ბაზების შექმნა; მოვლენათა გლობალური დინამიკის ვერიფიკაცია, პროგნოზი და საინჟინრო მართვა;
- ანთროპოგენური წნეხების პრევენცია;
- დასახლებებისა და ლანდშაფტური გარემოს გამოყენებითი დაგეგმარება;
- საზღვრების კარტოგრაფიული დელიმიტაცია;
- დინამიური ობიექტებისა და ეგზოდინამიკური პროცესების ინჟინერული მართვის განხორციელება;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და გსს-ის გამოყენება;
- ბუნებრივი გარემოს კომპონენტების გონივრული სარგებლობა/ეფექტური მართვა და სხვა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია „გეოგრაფიის მაგისტრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება № 05/01-362, 12. 10. 2017);
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმები, პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.sou.edu.ge/>;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

•
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
•
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი გეოგრაფია“ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას: თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ითვალისწინებს სწავლა-სწავლების შესაბამის მეთოდებს (ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო - გეოსაინფორმაციო სისტემებში და სხვ), რომელიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.</p> <p>სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია სსუ-ის ბიბლიოთეკაში. სსუ-ს გეოგრაფიის კაბინეტის ბიბლიოთეკაში, საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. ელექტრონული სალექციო მასალით სტუდენტების უზრუნველყოფას ახდენს შესაბამისი სასწავლო კურსის ან/და პროგრამის ხელმძღვანელები.</p> <p>ამასთანავე აუცილებელია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის (გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია, ქალაქის ანთროპოგენული გარემო, სამედიცინო გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კონსტრუქციული მართვა) სილაბუსში განახლდეს ძირითადი ლიტერატურა ან უზრუნველყოფილი იყოს ალტერნატიული წყარო (რიდერი, სალექციო კურსი); ასევე, სილაბუსებში გასასწორებელია ტექნიკური შეცდომა საკონტაქტო საათებისა, რომელიც ყველა სილაბუსში შეადგენს 65 საათს, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.</p> <p>სილაბუსებში აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე უცხოურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია უცხო</p>

ენების სწავლების გაძლიერებასთან სსუ-ში და, ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს, გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში.

გარდა ამისა, სსუ-ს მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია, რომელიც თავისი შინაარსით ზოგადი ხასიათისაა. ასევე, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომი გადის შედეგებზე, უმჯობესია, ასახული იყოს სილაბუსში. ამდენად, მიზანშეწონილია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაემატოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი (იხ. 5.1 სტანდარტი)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საბიბლიოთეკო ფონდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია, ქალაქის ანთროპოგენული გარემო, სამედიცინო გეოგრაფიის საფუძვლები, საქართველოს ბუნებრივი რესურსები და კონსტრუქციული მართვა) სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის განახლება ან ალტერნატიული წყაროს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რიდერი, სალექციო კურსი);
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საკონტაქტო საათებისა, რომელიც ყველა სილაბუსში შეადგენს 65 საათს, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში აქტიურად იყოს გამოყენებული თანამედროვე უცხოურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია უცხო ენების სწავლების გაძლიერებასთან სსუ-ში და, ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს, გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ყოველი დისციპლინის სწავლება, თეორიულ საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას: პრაქტიკული მეცადინეობები აერთიანებს სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების სწავლების ფორმებს. პროგრამის მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტია სავლე-კომპლექსური პრაქტიკა, რომლის მიზანია ბუნებრივი გარემოს კომპონენტების აგეგმვის, აღწერისა და კარტირების უნარების ჩამოყალიბება. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარება მიიღწევა სილაბუსით გათვალისწინებული სავლე და კამერალური სამუშაოს განხორციელების საფუძველზე. სავლე-კომპლექსური პრაქტიკა ხორციელდება უშუალოდ აკადემიური პერსონალის ჩართულობითა და ხელმძღვანელობით.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და გაწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. უნივერსიტეტის ეგიდითა და გეოგრაფიის დარგის სტუდენტების მონაწილეობით ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენციები. პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების დროს სტაჟირების განხორციელებას სამეცნიერო-პრაქტიკულ დაწესებულებებში, ორგანიზებას უკეთებს მათი წარმომადგენლების შეხვედრას ფაკულტეტის სტუდენტებთან.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა სასწავლო თუ სამეცნიერო ორგანიზაციებთან (გარემოს დაცვის სააგენტო, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აფხაზეთის #3 საჯარო სკოლა), რომლებიც ითვალისწინებენ ურთიერთთანამშრომლობას და სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობას პროექტებში, ტრენინგებსა და საჯარო ლექციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებსა და პრაქტიკის ობიექტებთან;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდები, ძირითადად, შეესაბამება გეოგრაფიული განათლების მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. თუმცა პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დადგინდა, რომ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით **საჭიროა, ერთი მხრივ, სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მეორე მხრივ, სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნება:**

- დასაწყისშივე აღსანიშნავია, რომ საგანში „გეოგრაფიული მეცნიერების თეორიული საფუძვლები“ სწავლების მეთოდების ბოლოს მითითებულია, რომ პრაქტიკულ კომპონენტებში მოიაზრება, ჯგუფში მუშაობასთან ერთად, საკონტროლო წერითი დავალება და პრეზენტაცია. ამასთან, აქვე გათვალისწინებულია, რომ **საკონტროლო წერითი დავალების შესრულება სემესტრში ტარდება 3-ჯერ, ხოლო პრეზენტაცია (თემების სააუდიტორიო წარდგენა) - სემესტრში 2-ჯერ.** ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასწავლო კურსების სილაბუსებში საქმე ეხება არა სწავლების მეთოდებს, არამედ შეფასების მეთოდებს. ეს ჩანაწერი უნდა აისახოს შეფასების მეთოდების რუბრიკაში. პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა ინტერვიუზე დაადასტურეს, რომ ეს აშკარა უზუსტობაა და რამდენიმე საგნის სილაბუსში უნდა გასწორდეს. ანალოგიურ სურათს ვაწყდებით შემდეგი საგნების სილაბუსებში: „გლობალური დათბობის პრობლემები“, „ფიზიკური გეოგრაფიის კომპლექსური კვლევები“, „ჰავის რესურსების გამოყენებითი კვლევები“, „სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაცია“, „ლანდშაფტური დაგეგმარება“, „გამოყენებითი (საინჟინრო) გეოგრაფია“, „ენერგეტიკა და ბუნებრივი გარემო“, „ქალაქების ანთროპოგენური გარემო“ და სხვა.
- ამავე დროს, სასწავლო კურსების სილაბუსებში იგრძნობა სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების საჭიროება, მით უფრო, სამაგისტრო საფეხურზე შესატყვისი უნარების გამომუშავება-განვითარებისთვის. მაგალითად, „ჰავის რესურსების გამოყენებითი კვლევების“ სილაბუსში სწავლების მეთოდებს შორის წარმოდგენილია ვერბალური, დემოსტრირების, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობები, რომლებიც მოიცავს (ა) ჯგუფში მუშაობას, (ბ) საკონტროლო წერით დავალებასა და (გ) პრეზენტაციას. ანალოგიური პრობლემა გვხვდება „ლანდშაფტური დაგეგმარების“, „ქალაქების ანთროპოგენური გარემოს“, „მეტეოხელსაწყოები და გამოყენებითი დაკვირვებების“, „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი კონსტრუქციული მართვის“, „გლობალური დათბობის პრობლემებისა“ და სხვა საგნების სილაბუსებში.

საბოლოო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამაგისტრო საფეხურისთვის უფრო მეტად აქტუალურია სწავლების ისეთ მეთოდებზე გამახვილდეს **ყურადღება,**

რომლებიც მაგისტრანტებს ანალიტიკურ უნარებს გამოუმუშავენ (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, პროექტის შემუშავება და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე.
- ინტერვიუს შედეგები;
- სწავლების მეთოდები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რამდენიმე საგნის სილაბუსში ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდი შეფასების მეთოდებისგან; ასევე, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სწავლება-სწავლის მეთოდები უფრო მეტად მრავალფეროვანი გახდეს და ყურადღება გამახვილდეს სწავლების ისეთ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამოუმუშავებას უწყობს ხელს (გონებრივი იერიში, სოკრატესეული, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, პროექტის შემუშავება და სხვა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემას. სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსის სილაბუსებით.

წინამდებარე პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასებისას სტუდენტის ცოდნის შეფასება წარმოებს სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და პრაქტიკული მეცადინეობისთვის განსაზღვრულ პერიოდში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდში.

შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი (შუალედური და ფინალური გამოცდის შედეგების გასაჩივრება), რაც სპეციალურად შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვის საფუძველზე ხორციელდება.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ხდება

დაწესებულებაში არსებული ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელ სემესტრში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომს მინიჭებული აქვს - 30 კრედიტი);

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ღრმა და სისტემური ცოდნისა და ზოგადი უნარების, სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობების დოკუმენტირებას.

ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება სულ მცირე 15-20 წუთით. დაცვის პროცესში მაგისტრს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. პროგრამის განხორციელების ფარგლებში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რაც სპეციალურად შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ სტუდენტის აპელაციის განხილვას გულისხმობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები - უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

•
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატური და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
--

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით დადგინდა, რომ სააკრედიტაციო წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია სტუდენტებისთვის.

პროგრამის შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესების თანახმად, სტუდენტი იღებს კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით დადასტურდა, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, აკადემიური, მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, დაწესებულების მიერ ეფექტურად გამოიყენება პრაქტიკაში და მაქსიმალურად სტუდენტების ინტერესებზეა მორგებული.

სტუდენტებისათვის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის უნივერსიტეტის ელექტრონული სტუდენტის პორტალისა და დაწესებულების ვებგვერდის მეშვეობით, მარტივად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროგრამის ფარგლებში არსებული კონსულტაციების, ღონისძიებების, აკადემიური აქტივობების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების თუ სხვა ტიპის მხარდაჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ, გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი სასწავლო კურსი.

სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე, წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე.

უნივერსიტეტის ხელშეწყობით ყველა ჩამოთვლილი სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. პროგრამის მოდიფიკაციის მიზნით, დაწესებულებამ განახლებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი მოდულები მაქსიმალურად ორიენტირებული გახადა პრაქტიკულ კომპონენტებსა და თანამედროვე გამოწვევებზე.

პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენის კურსები. პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია სტუდენტთა საჭიროებებსა და ინტერესებზე.

დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიარონ პრაქტიკა თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს პროფესიული კომპონენტებით დატვირთულ სასწავლო კურსებს, სადაც პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული დავალებებია გათვალისწინებული. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სასწავლო კურსების მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში; გამოიმუშაონ უმთავრესი, პროფესიისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კომპონენტების წარმატებით

ათვისების შესაბამისად არსებობს შესაძლებლობა, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საველე სამუშაოებში და უკვე ნასწავლ დისციპლინებში ათვისებული ცოდნა გაამყარონ პრაქტიკული გამოცდილებით.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სახით, პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე, კომპიუტერული სისტემით აღჭურვილი სამუშაო ოთახები, საბიბლიოთეკო სივრცეები, სპეციალური ლაბორატორიებით.

სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე აღჭურვილობის საბიბლიოთეკო სივრცეები, ვიზიტის ფარგლებში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალეობისას საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა უსდ-სთვის შეზღუდული იყო, წინამდებარე შემთხვევის მიზეზად დასახელებულია სახელშეკრულებო ურთიერთობების განახლების პროცესი. რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სალიტერატურო ბაზებზე სრული წვდომა/დაშვება.

მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ექსპერტებთან ინტერვიუს პროცესში გამოხატავდნენ კმაყოფილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის, მათ შორის, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების, მიმართ.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში. სალექციო ცხრილი არის მოქნილი. დაწესებულება ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სახელმწიფო სტიპენდიების გაცემას, მობილობას საერთაშორისო კონფერენციებსა გაცვლით პროგრამებსა თუ სხვა ტიპის აკადემიურ აქტივობებში.

სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტის სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ქვეყნდება წარმატებული სტუდენტების ნაშრომები პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით დამუშავებული საკონფერენციო თეზისები, სტატიები.

დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის პრაქტიკა, ჩართულია "ერაზმუს+"-ის პროგრამაში, ჰყავს არაერთი საზღვარგარეთის პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამშრომლობის ფარგლებში, სტუდენტებსა და აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ გრძელვადიან თუ მოკლევადიან გაცვლით სამეცნიერო აქტივობებში. ვინაიდან პროგრამა ახალია, სტუდენტებს ჯერჯერობით არ უსარგებლიათ გაცვლითი აქტივობებით. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე უწყვეტი ინფორმაციის მიწოდებას სოაციალური საკომუნიკაციო პლათფორმების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის სილაბუსები;
- ხელშეკრულებები და მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის

<p>ხელმძღვანელებთან აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://www.sou.edu.ge.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით დადგინდა, რომ უსდ-ს მიერ სააკრედიტაციო წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს დაწესებულება სთავაზობს კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს, რომელთაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და სატანადო კომპეტენცია.</p> <p>განახლებული პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. კვლევითი ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი დარგობრივი სასწავლო დისციპლინები. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ინდივიდუალური კვლევითი პროექტის შესრულება.</p> <p>ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში მუშაობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო რესურსით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება</p>

პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება. მაგისტრატურის დებულებითა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციით განსაზღვრული თუ რა სახის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმძღვანელონ სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა შეფასებამდე ერთი თვით ადრე ფაკულტეტის ადმინისტრაციას უნდა წარუდგინოს წერილობითი დასკვნა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დასკვნაში აღნიშნოს, რომ მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული, ასევე, უნდა დასტურდებოდეს დაწესებულების მიერ შექმნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დასკვნის საფუძველზე, რომელიც ახდენს დოკუმენტების შინაარსის შედარებას, ტექსტების ამოცნობას, სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან შედარებას, რაც საბოლოო ჯამში, ემსახურება პლაგიატის თავიდან აცილებას.

დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი ასახელებს სამაგისტრო ნაშრომის ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთი უნდა იყოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), ხოლო მეორე - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დოქტორი სხვა უმაღლესი სასწავლო ან კვლევითი დაწესებულებიდან. რეცენზენტები დასკვნითი შეფასებისთვის წერენ რეცენზიას და აფასებენ ნაშრომს რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის დაცვაზე. რეცენზიები და უწყისი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის ბეჭდით. რეცენზენტი ვალდებულია, მაგისტრანტს გააცნოს თავისი რეცენზია სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე მაინც. რეცენზენტი ვალდებულია, უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ათი დღით ადრე მაინც) აცნობოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც გამოყოფს დამატებით რეცენზენტს. ასეთ შემთხვევაში დაცვის პროცედურაში მონაწილეობას მიიღებს სამივე რეცენზენტი. ორი უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში სტუდენტს უკან დაუბრუნდება სამაგისტრო ნაშრომი გადასამუშავებლად და იგი იმავე სემესტრში არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს წარმოდგენილ ნაშრომს უწყისში მითითებული კომპონენტების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს; შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი.

ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუს შედეგებით, გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო თემის დამუშავების პროცესში მეტწილად დაბრკოლებას სტუდენტთა ენობრივი ბარიერი წარმოადგენს. აღნიშნულის შედეგად, სტუდენტები სათანადოდ ვერ ეცნობიან უცხოენოვან წყაროებს და სრულფასოვნად ვერ იყენებენ მათ კვლევის პროცესში. რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად წაახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების გამოყენება. აღნიშნული სტრატეგიის განვითარებით, მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია,

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, ჰქონდეთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია;
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (CV);
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლითაც წახალისებს და ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები – უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება მათი შესაბამისი კვალიფიკაციით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით და დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო აქტივობით.

აკადემიური და მოწვეული პედაგოგების შემთხვევაში – საგანმანათლებლო პროგრამაში მათი ჩართვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი უახლესი აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია, პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ სპეციალობაში.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული მასწავლებლების კვალიფიკაცია და რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით

განხორციელებას: პერსონალის საერთო რაოდენობაა 10, მათგან 6 აკადემიური პერსონალია (2 პროფესორი, 3 ასოცირებული, 1 ასისტენტ-პროფესორი) და 4 მოწვეული მასწავლებელი. ექვსივე აკადემიური პერსონალი აფილირებულია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის მიხედვით: 1. წლიური სემესტრული სასწავლო/სააუდიტორიო დატვირთვა განისაზღვრება: □ პროფესორისათვის - 180 საკონტაქტო საათი, სემესტრში საშუალოდ - 90 სთ; □ ასოცირებული პროფესორისათვის - 240 საკონტაქტო საათი, სემესტრში საშუალოდ - 120 სთ; □ ასისტენტ-პროფესორისათვის - 300 საკონტაქტო საათი, სემესტრში საშუალოდ - 150 სთ; □ ასისტენტისთვის - 300 საკონტაქტო საათი, სემესტრში საშუალოდ - 150 სთ;

2. ერთი სემესტრის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს წლიური სასწავლო დატვირთვის არანაკლებ 25%-ისა.

3. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო/სააუდიტორიო დატვირთვა (გარდა დოქტორანტურისა) არ უნდა აღემატებოდეს 16 საკონტაქტო საათს კვირაში, მაქსიმალური რაოდენობა საკონტაქტო საათებისა განისაზღვროს 20 აკადემიური საათით კვირაში.

4. ერთი დღის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ 6 საკონტაქტო საათის ოდენობით სააუდიტორიო მეცადინეობის ჩატარება.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვა, მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრული საათები მიხედვით, შესაბამისობაშია ზემოთ მოყვანილ დატვირთვის სქემასთან.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით და, შეძლებისდაგვარად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებას. ამის დასტურია ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციის მუშაობაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობა. ინტერვიუების დროს აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა საერთაშორისო ღონისძიებებში (გერმანია, იტალია) მონაწილეობა უნივერსიტეტის დაფინანსებით, რაც დასტურდება სერტიფიკატებით.

საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარები და გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი მონაცემები (cv);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (cv);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
•
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
•
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
•
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
•
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც მიმართულია საგანმანათლებლო პროცესისა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად. სტრუქტურული ერთეულები და საშტატო განრიგი მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის და ზოგადად უნივერსიტეტის ეფექტურ მართვას.</p> <p>კანონმდებლობის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის არჩევა ხორციელდება ღია და გამჭვირვალე არჩევნების წესით, მართვის ორგანოებშიც ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩევა ხორციელდება პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. ამ ეტაპზე დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში და სხვა თანამდებობებზე დანიშნა ხორციელდება პირდაპირი დანიშვნის გზით, სადაც ბუნებრივია, გათვალისწინებულია სამუშაო გამოცდილება და სხვა პიროვნული ფაქტორები.</p> <p>აღსანიშნავია, რომ დაწყებულია მუშაობა პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, რომელიც მოიცავს: პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს; პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.</p> <p>უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. ტარდება გამოკითხვები, ფასდება სასწავლო პროცესი,</p>

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი, ანალიზირდება შედეგები, მუშავდება რეკომენდაციები და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად; უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი სისტემატურად იმაღლებს თავის პროფესიულ დონეს – მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში, გადის შესაბამის ტრენინგებს. ამასთანავე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის მომზადება-გადამზადების, ტრენინგებთან დაკავშირებულ, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის და იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება და სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები (cv);
- პერსონალის ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. უნივერსიტეტის აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოქნილი სისტემით იმართება, რესურსები

კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტიპის აუდიტორიებით. ბიბლიოთეკაში დაცულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, კურსდამტავრებულებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ბაზებთან, თუმცა ვიზიტის ფარგლებში წინამდებარე სამეცნიერო-სალიტერატურო ბაზებზე წვდომა/დაშვება შეზღუდული იყო.

უსდ-ში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ბაზა - ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები.

თანამედროვე სტანდარტებით, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

აღსანიშნავია, ვიზიტის ფარგლებში, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა უსდ-სთვის შეზღუდული იყო, წინამდებარე შემთხვევის მიზეზად დასახელებულ იქნა სახელმძღვანელო ურთიერთობების განახლების პროცესი, რის საფუძველზეც ადგილზე ბიბლიოთეკის წარმომადგენლის მიერ გაკეთდა შესაბამისი განმარტება. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე სრულფასოვანი წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამტავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.sou.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო

ბაზებზე სრულფასოვანი წვდომა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ბაზა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლებულია, სასურველია თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვა და დინამიკაში სტრატეგიის შენარჩუნება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> •
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს: (ა) სწავლის საფასური, (ბ) ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და სამეცნიერო გრანტები, (გ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სხვა ნებადართული შემოსავალი.</p> <p>ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ინტეგრირებულია პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი. მასში წარმოდგენილია ხარჯები, რომლებიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ შრომის ანაზღაურებას; ➢ საქონელსა და მომსახურებას; ➢ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას; ➢ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებას; ➢ სესიების, კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას; ➢ კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსებას; ➢ სამეცნიერო შრომების, გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემა-დამზადებას; ➢ ექსპედიციას; ➢ მივლინებას ქვეყნის შიგნით; ➢ ქვეყნის გარეთ მივლინებასა და სხვა ხარჯებს.

ამასთან, გამოვითხოვეთ გამოყენებითი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტი, რომელიც საშუალოდ 10 სტუდენტზეა გათვლილი. პროგრამის საბიუჯეტი დოკუმენტი შეიცავს ისეთ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა:

- შრომის ანაზღაურება;
- საქონელი და მომსახურება;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება;
- მივლინება.

აქვე მისასალმებელია, რომ პროგრამის ბიუჯეტში საგანგებოდ ასახულია პერსონალის მომზადება-გადამზადების, ტრენინგებთან დაკავშირებული, კვლევების, განვითარებისა და მსგავსი ღონისძიებების, სამეცნიერო კონფერენციების, იმფაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებისა და სხვა ხარჯები. მართალია, ამ კომპონენტებში დიდი თანხობრივი მაჩვენებელი არ ჩანს, მაგრამ თავისთავად აღნიშნული ნაწილის გამოყოფის ფაქტი მნიშვნელოვანია. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქარი და სხვა) გააქტიურება, მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაფინანსების გაზრდაზე ფიქრი გაგრძელდეს და მეტი რესურსის გათვალისწინება უდავოდ წადგება პროგრამას. ამასთან, როგორც ინტერვიუს დროს ითქვა, საჭიროების არსებობისას ფაკულტეტის ბიუჯეტის 5%-ის გადმოტვირთვა, ჩვეულებრივ, დაიშვება წარმომადგენლობითი საბჭოს ჩართულობის გარეშე. ასევე, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ შესაძლებელია საუნივერსიტეტო ბიუჯეტის მობილიზება, თუ ამის აუცილებლობა დადგა. საყურადღებოა ისიც, რომ უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს ფონდებთან, რომლებიც სოციალურად შეჭირვებულ სტუდენტებს ეხმარებიან სასწავლო საფასურის დაფარვაში.

როგორც დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, ყოველწლიურად იზრდება კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული სხვა ტიპის შემოსავლებიც. ამავე დროს, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას დაფინანსების დივერსიფიკაციის წყაროების მოძებნის მიმართულებით როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ და ცდილობს, გამოიყენოს რესურსები ბიუჯეტის უფრო მეტად გასაზრდელად.

ამდენად, უნივერსიტეტს აქვს გათვალისწინებული ფინანსური რესურსები, რომლებიც მიმართულია სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საბიბლიოთეკო პროცესის, სხვადასხვა ღონისძიების (სპორტული, შემოქმედებითი და სხვა) ორგანიზების დაფინანსებისკენ. ბიუჯეტი შეიცავს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის ხარჯებს. შესაბამისად, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა მდგრადია და ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტი ასახულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში დანართის სახით. საბოლოო ჯამში, პროგრამის ბიუჯეტი მოიცავს იმ ხარჯებს და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც პროგრამის საჭიროებებისა და დადგეგმილი აქტივობების შესრულებას უზრუნველყოფს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება;

<ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მისია; • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • „უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 მარტის მე-4 სხდომის N4/1 გადაწყვეტილება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, უნივერსიტეტმა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაფინანსების ოდენობის გაზრდის მიმართულებით მუშაობა გააგრძელოს როგორც ახალგაზრდა მკვლევრების, ისე გამოცდილი კადრების წახალისების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> •
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ძირითადად, ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ პრინციპს. ფაქტობრივად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დახვეწა-განვითარებაზე, რომელშიც შედის საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობა; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება, ყოველწლიური ანგარიშები და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, რომლებიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის შეფასებას. ეს მექანიზმები მოიცავს თვითშეფასების კომპონენტს, გამოკითხვებს, ანკეტირებასა და გარე შეფასებებს.

საყურადღებოა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულია, ძირითადად, სხვადასხვა დაინტერესებული აქტორი (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და სხვა). როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, აკადემიურ პერსონალს ჰქონდა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი პროგრამაში აისახა. მაგალითად, უშუალოდ ერთ-ერთმა პროფესორმა გამოთქვა სამაგისტრო პროგრამაში „ლანდშაფტური დაგეგმარების“ სასწავლო კურსის გათვალისწინების რეკომენდაცია, რაც თვითშეფასების ჯგუფმა გაიზიარა. ამასთან, ინტერვიუზე თვითშეფასების ჯგუფში ჩართულმა ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ორი საგნის სილაბუსის გადახედვა მას დაევალა და მან სილაბუსებში არსებული ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა თვითშეფასების ჯგუფს, ასევე, მისი აზრი იყო, ორი საგანი გაერთიანებულიყო, რადგან ფაქტობრივად საკითხების უმეტესობა მეორდებოდა სილაბუსებში, ეს მოსაზრებაც თვითშეფასების ჯგუფმა მოიწონა და გაიზიარა.

აქვე დადგინდა, რომ მართალია, დაწესებულება დამსაქმებლების აზრებსა და სურვილებს იღებს კვლევების ჩატარების გზით, მაგრამ, ცხადია, ეს მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის არ უნდა ხდებოდეს და მუდმივ ხასიათს უნდა ატარებდეს, პროგრამის დახვეწაც დინამიკაში უნდა იყოს დანახული. დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს სფეროში არსებულ გამოწვევებზე და აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობდეს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ნაკლებად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. გამოიკვეთა პროგრამის შემუშავებისა და გადამუშავება-განვითარების დროს დამსაქმებლების აქტიური ჩართულობის საჭიროება.

ამასთან, როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, არსებული შიდა მექა-

ნიზმები გასაძლიერებელია, ასევე, აუცილებელია მათი წარმართვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სხვადასხვა მომსახურების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების მიმართულებითაც. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიდან, წარმოდგენილია პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. პროგრამის შედეგების შეფასების თაობაზე სტუდენტები იღებენ უკუკავშირის იმის შესახებ, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. **პირდაპირი ხერხებიდან გამოიყენება დამამთავრებელ ეტაპზე (ბოლო სემესტრში) პრაქტიკულ კურსებში დადებითი შეფასება, აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკულის მაჩვენებელი, სტუდენტის პორტფოლიო და სხვა.** პროგრამის ხარისხის არაპირდაპირი შეფასება მოიაზრებს პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ აქტორთა მხრიდან პროგრამის კვლევას. ამ თვალსაზრისით, ტარდება დამსაქმებელთა კვლევა სპეციალური კითხვარების დახმარებით, რათა დადგინდეს პროგრამის სწავლის შედეგების აქტუალურობა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნები და სხვა. ასევე, გამოიყენება კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. თვითშეფასების ანგარიშის 5.3 სტანდარტის „აღწერით მიმოხილვაში“ ბოლოს აღნიშნულია, რომ გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და იქვე მითითებაა მე-14 დანართზე. თუმცა გამოყენებითი გეოგრაფიის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაცია (მე-14 დანართი) არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რა სახის ცვლილებები შევიდა პროგრამაში (რომელი საგანი ამოიღეს? რომელი საგანი დაემატა? რა იყო ამ ცვლილებების განხორციელების საფუძველი? რომელ საგანში რა სახის ცვლილებები შევიდა?..).

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები აცნობიერებენ რა ამ მექანიზმების მნიშვნელობას, შენიშნავენ, რომ ეს მექანიზმები საჭიროებს სრულყოფილად ამუშავებას, ხოლო გამოკითხვების შედეგები ანალიზისა და გაუმჯობესების გზების შემდგომ დახვეწას. სასურველია, ტექნიკური უზრუნველყოფის დახვეწის პარალელურად, გაუმჯობესდეს კითხვარების შინაარსიც. საქმე ისაა, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანია წარმოებულ გამოკითხვების არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ანალიზი. აღნიშნულ კონტექსტში დაგეგმილია არსებული მექანიზმების სრულად ამოქმედება, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სწავლებისა და კვლევების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული მექანიზმები, დაწესებულების წარმომადგენელთა თვალსაზრისით, უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა დაინტერესებული აქტორის ჩართვას.

როგორც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკიდან დადგინდა, **სავალდებულო და (კონცენტრაციების ფარგლებში) არჩევითი სასწავლო კურსები გადის „გაღრმავების“ ან „განმტკიცების“ დონეზე** და არც ერთი საგანი არ გადის „გაცნობის“ დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუზე აღინიშნა, რომ ასე განსაზღვრეს დარგის სპეციალისტებმა და სამაგისტრო საფეხურისთვის მიზანშეწონილად ჩათვალეს „გაღრმავებასა“ თუ „განმტკიცების“ დონეზე აქცენტირება. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების რუკა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე სასწავლო კურსის მიმართ „გაცნობის“ დონეს, რადგან საგნები პირდაპირ „გაღრმავებასა“ და „განმტკიცების“

დონეზე ვერ გავა (იხ. 1.2 სტანდარტი). დგას ამ მიმართულებით მეტი მუშაობის საჭიროება.

ამასთან, საყურადღებოა **სამაგისტრო ნაშრომის შედგენის წესი. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ხელმძღვანელობენ ზოგადი საუნივერსიტეტო ინსტრუქციით, რომელიც ეხება სამაგისტრო ნაშრომის შედგენას, დაცვასა და შეფასებას. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი უშუალოდ კავშირშია სწავლის შედეგებთან და საჭიროებს მეტ ყურადღებას. სახელდობრ, სამაგისტრო ნაშრომი ცალკეა წარმოდგენილი პროგრამაში და სწავლის გარკვეულ შედეგებზე გადის. ამავე დროს, კონცენტრაციებში არის ინტეგრირებული სამაგისტრო ნაშრომი, როგორც შედეგებზე გამსვლელი ერთ-ერთი ინდიკატორი. აქვე შესაძლოა, დარგის სპეციფიკა სხვადასხვა სფეროში განსხვავებული იყოს და საუნივერსიტეტო ინსტრუქცია მხოლოდ ვერ ამოწურავდეს დარგობრივ ნიუანსებს (იხ. 2.3 სტანდარტი). ამდენად, უნდა შეიქმნას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც მოგვცემს წარმოდგენას, თუ რომელ სწავლის შედეგებზე გადის ის, როგორია დარგის სპეციფიკა, რა შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნები უნდა იყოს დაცული, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით.**

აქვე საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის წესი, რომლის მე-32 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „თუ ხელმძღვანელის დასკვნა ადასტურებს პლაგიატს, ნაშრომის ავტორს უფლება აქვს, გაითხოვოს ნაშრომი გადასამუშავებლად. ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტის წარმოდგენა შესაძლებელია მომდევნო სემესტრში.“ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №105/ნ ბრძანების მე-42 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

ამდენად, **არსებობს უარყოფითი შეფასების ორი სახე:**

ა. თუ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი შეფასდა 41-დან 50-მდე ქულით (FX), მაგისტრანტს უფლება ეძლევა, გადამუშავებული კვლევითი პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

ბ. თუ მაგისტრანტმა მიიღო 40 ან ნაკლები ქულა (F), მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

მეორე უარყოფითი შეფასება ეხება **იმ შემთხვევას, როცა შეფასება არის 41 ქულაზე დაბალი და სამაგისტრო ნაშრომში არსებული ხარვეზები** იმდენად არსებითია, რომ ისინი გადამუშავებას არ ექვემდებარება, თავისი სიმძიმის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ნაშრომში პლაგიატის ნიშნების არსებობას, **პლაგიატის ნებისმიერი პროცენტით არსებობა გულისხმობს ნაშრომის ნულით შეფასებას** და არ გულისხმობს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენას. ამ შემთხვევაში

დაუშვებელია, რომ მაგისტრანტმა მომდევნო სემესტრში (ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ) წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი, არამედ საერთოდ ახალი სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება დაამუშავოს. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილებაში უნდა შეიცვალოს ზემოთ წარმოდგენილი ჩანაწერი და პლაგიატის არსებობისას მაგისტრანტს არ უნდა მიეცეს უფლება, გადამუშავებული ნაშრომი წარმოადგინოს.

ამასთან, თუ აქ, **ნაცვლად ტერმინისა „პლაგიატი“, იქნება გამოყენებული ტერმინი „მსგავსება“ ან „დამთხვევა“** და მსგავსების დასაშვები პროცენტული ოდენობის გადაცილება დაფიქსირდება, მაშინ პრობლემაც შეიძლება აღმოიფხვრას და მაგისტრანტს გადამუშავებული ნაშრომის წარდგენის უფლება მიეცეს. **თუმცა ეს ჩანაწერი წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა დაიხვეწოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობის თავიდან არიდების მიზნით.**

აქვე ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის **სამსახურის მიზანია, სისტემატურად შეაფასოს სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა**, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ხარისხი პროგრამის განვითარება-დახვეწისათვის. თუმცა უნივერსიტეტს სრულად არ მოუწოდებია შიდა ხარისხის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები. სახელდობრ, უნივერსიტეტმა მოგვაწოდა მხოლოდ პერსონალის 2021 წლის საქმიანობის შეფასება, რომელიც ზოგადი ხასიათისა და არ შეიცავს კონკრეტულ მონაცემებს, ანალიზს. უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია შიდა ხარისხის მიერ წარმოებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები.

მართალია, **უნივერსიტეტში არ იყო სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მაგრამ დღესდღეობით შემუშავდა და დამტკიცდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია.** ის ითვალისწინებს უნივერსიტეტის რესურსებს, სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. აქ მოიაზრება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა ბოლო წლების დინამიკაში, სტუდენტთა მობილობა, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი და სხვა. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, ეს მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრას, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციას, რაც, საბოლოოდ სტუდენტებს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის შედეგები;
- შიდა ექსპეტის შეფასება;
- განვითარების კომისიის ოქმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროგრამის ბუჯეტი;
- უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის შეფასება (2021);
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 20 აპრილის N05/01 – 20 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და

<p>განვითარების მეთოდოლოგიის შესახებ“;</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილება „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“; • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 12 ოქტომბრის N05/01-362 დადგენილება „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესახებ“; • სასწავლო კურსების სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც გააერთიანებს მონაცემებს სწავლის შედეგების, დარგის სპეციფიკის, შინაარსობრივი თუ ტექნიკური მოთხოვნების შესახებ; „აკადემიური ეთიკისა და აკადემიური დისციპლინის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 31 ივლისის N06-371 გადაწყვეტილებაში არსებული ჩანაწერი (32-ე მუხლის მე-8 პუნქტში) გასწორდეს ისე, რომ არ შეეწინააღმდეგოს კანონმდებლობის მოთხოვნებს; ასევე, მეთოდოლოგიურად დაიხვეწოს სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რათა სათანადოდ განისაზღვროს „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ დონეებზე გამსვლელი სასწავლო კურსები; • რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართული როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ისე გადამუშავებისა და განვითარების პროცესში; ასევე, წარმოებდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, კარგი იქნება, ტექნიკური უზრუნველყოფის დახვეწის პარალელურად, გაუმჯობესდეს კითხვარების შინაარსი (ცალ-ცალკე შეფასეს საგანი, ლექტორი, სასწავლო პროცესი); • სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებული პირის გამოკითხვების ანალიზის ანგარიშებზე ოფიციალური წესით შედგეს რეაგირების ოქმები, განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია იყოს უფრო სრულყოფილი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმებს წარმოადგენს ავტორიზაცია და აკრედიტაცია. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი ცდილობს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციისას გამოთქმული რეკომენდაციები გაითვალისწინოს პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით. პროგრამაში შესატანი ცვლილებების შესახებ მსჯელობს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი და აკადემიური პერსონალი. თუ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, ინფორმაცია ცვლილებების თაობაზე ეცნობება უშუალოდ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ცვლილებების განხორციელებისთანავე დაკავშირებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულს. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ ცვლილებების შესახებ იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. იგრძნობა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

წარმოდგენილია ოთხი გარე კოლეგიალური შეფასება:

- ერთ-ერთი შემფასებლის მიერ გამოითქვა რეკომენდაცია, გაუმჯობესდეს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უნივერსიტეტმა შეიძინოს თანამედროვე ხელსაწყოები, რათა გეომორფოლოგიური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა სახის გეოგრაფიული დაკვირვებები კვალიფიციურად წარმოებდეს.
- ანალოგიური შინაარსის რეკომენდაციები აქვს სხვა ექსპერტს. ის ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ აუცილებელია დაკვირვების თანამედროვე ავტომატური - თვითმწერი მინიმეტეოროლოგიური აპარატურის გაუმჯობესება, მისი დამონტაჟების ადგილის შეცვლა დაკვირვებისთვის უფრო ხელსაყრელ მოედანზე, სხვადასხვა პარამეტრების გასაზომი სენსორების დამატება და სხვა.
- დარგის სხვა კოლეგიალური შეფასების ფარგლებში გამოითქვა სურვილები საერთაშორისო თანამშრომლობისა (უცხოელი პროფესორების მოწვევა) და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების, ასევე, წიგნადი ფონდის, განსაკუთრებით ქართულენოვანი სახელმძღვანელოებისა და ე.წ. „რიდერების“ ხარჯზე, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდის შესახებ.
- აქვე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ უნივერსიტეტი მიმართავს უცხოური უნივერსიტეტის პროფესორებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად. საგულისხმოა ოდესის სახელმწიფო ეკოლოგიური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის პროფესორის მიერ პროგრამის დადებითად შეფასება. ამასთან, ამ შეფასების ფარგლებშიც გამოთქმულია სურვილი საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საყურადღებო საკითხებს ეხება გარე კოლეგიალური

შეფასებების დროს გაჟღერებული რეკომენდაციები. მათი გარკვეული ნაწილი (წიგნადი ფონდის გაზრდა, საერთაშორისო თანამშრომლის გაღრმავება და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და სხვა) ექსპერტთა ჯგუფში წარმოდგენილმა დარგის სპეციალისტებმაც გამოთქვეს უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას. ამდენად, სასურველია, მეტად იყოს გათვალისწინებული გარე კოლეგიალური შეფასებისას გამოხატული რეკომენდაციები პროგრამის განვითარების მიზნით.

ასევე, საყურადღებოა, რომ 5.2 კომპონენტი ეხება გარე ხარისხის შეფასებას, რომელშიც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გარე კოლეგიალური შეფასება. არადა, აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, პროგრამის გარე ხარისხის შეფასების ფორმა შეიძლება იყოს ეროვნული ან/და საერთაშორისო აკრედიტაციისას მიღებული რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, გარე კოლეგიალური შეფასება უნდა გაიმიჯნოს ხარისხის გარე შეფასებამონიტორინგისაგან. ამასთან, ეს საკითხი, თავისი არსით, განეკუთვნება 5.3 სტანდარტის ნარატივს, შესაბამისად, უნდა ასახულიყო თვითშეფასების დოკუმენტის 5.3 კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული ცვლილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გარე შეფასების ფორმები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ხარისხის გარე შეფასება გაიმიჯნოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასებისაგან და განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების შესახებ მონაცემები აისახოს „პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების“ (5.3-ის) სტანდარტში; კარგი იქნება, პროგრამის განვითარების მიზნით უფრო მეტი ყურადღება მიექცეს გარე კოლეგიალური შეფასებისას გამოთქმულ რეკომენდაციებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებულების ჩართულობით. გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად შეგროვდა მონაცემები პროგრამის დახვეწის მიზნით. მართალია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ახალია და, ძირითადად, მომავალში უნდა დადგინდეს, უფრო კონკრეტულად როგორ იწარმოებს პროგრამის მონიტორინგი, ასევე, ტარდება გამოკითხვები და უნივერსიტეტი ცდილობს, მიღებული შედეგების გამოყენებას პროგრამის განახლების უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის მისი ეფექტიანობის შესაფასებლად, მაგრამ არის გარკვეული საკითხები, რომლებიც აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შემოწმების დროსაც ჩანს. ამიტომ მიზანშეწონილია, მათზე მოკლედ ყურადღების გამახვილება, თუნდაც მათი გასწორებისა და მომავალში პრევენციის მიზნით:

1. როგორც ინტერვიუს შედეგად დადგინდა, პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებული აქტორის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა) ჩართულობით, მიღებული ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის დახმარებით. შეფასების შედეგების გაანალიზების შედეგად შედის პროგრამაში გარკვეული ცვლილებები. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ ერთ-ერთმა ლექტორმა შესთავაზა სამუშაო ჯგუფს სასწავლო დისციპლინები, ასევე, გამოიკვეთა პრაქტიკული საათებისა და პრაქტიკული კომპონენტებით დატვირთული საგნების გაზრდის საჭიროება, რის გამოც პროგრამაში შევიდა ცვლილებები. ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი იყენებს გარე კოლეგიალურ შეფასებას, რომელსაც განმავითარებელი ხასიათი აქვს (იხ. 5.2);
2. უნივერსიტეტი ცდილობს, გამოიკვლიოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებები, მაგრამ იგრძნობა, რომ ეს უფრო აკრედიტაციის მიზნებისთვის შეიძლება ხორციელდებოდეს. არადა უმნიშვნელოვანესია შრომის ბაზრის მოთხოვნების სისტემატური კვლევა, რათა სამაგისტრო პროგრამა მუდმივად დინამიკაში ვითარდებოდეს და პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით, გასააქტიურებელია პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია, ასევე, გასაფართოებელია პარტნიორ ორგანიზაციათა წრე, გასაღრმავებელია მათთან კავშირები, მათ შორის ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმების გზით, რათა მაგისტრანტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი (იხ. 2.4 სტანდარტი);
3. როგორც აღინიშნა, მართალია, განსახილველად წარმოდგენილი პროგრამა ახალია,

<p>მაგრამ მონიტორინგის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო საკვანძო საკითხებზე სრულყოფილი ინფორმაციის ასახვა თვითშეფასების დოკუმენტშიც, ამ ეტაპზე თვითშეფასების დოკუმენტში 5.3 კომპონენტი მხოლოდ მითითებითი ჩანაწერით შემოიფარგლება, Word-ის დოკუმენტი კი, რომელზეც მითითებაა, ზოგადი ხასიათისაა.</p> <p>4. აქვე სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამების ჩამონათვალი. ექსპერტთა ჯგუფმა ვთხოვეთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ მოეწოდებინათ ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების ანალიზი, რაც მნიშვნელოვანია თვისებრივი თვალსაზრისით, თუმცა ამის ამსახველი რაიმე დოკუმენტი ვერ მივიღეთ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საჭიროა ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების წარმოება-ანალიზი, რათა აღნიშნულმა დაადგინოს როგორც თანმხვედრი შტრიხები, ისე უშუალოდ პროგრამის ინდივიდუალობის გამომხატველი თავისებურებები, მიღებული შედეგები შეფასდეს და შედეგები გამოყენებულ იქნეს პროგრამის განსავითარებლად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; • სწავლების შედეგების ანალიზი და შეფასების ანგარიში; • დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; • სწავლის შედეგების რუკა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, თვითშეფასების დოკუმენტი შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას გამოვლენილი პრობლემების გამოსწორების, მიღებული შედეგების გაანალიზების, გამოყენებისა და სხვა მიმართულებით; ასევე, კარგი იქნება, წარმოებდეს ანალოგ უცხოურ პროგრამებთან დადარების ანალიზი, მიღებული შედეგები კი გამოყენებულ იქნეს პროგრამის განვითარებისთვის. • სასურველია, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სისტემატური კვლევა, რათა სამაგისტრო პროგრამა მუდმივად დინამიკასა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე იყოს ორიენტირებული.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> •
<p>შეფასება</p>

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „გამოყენებითი გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გიორგი ბრეგვაძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნოდარ ფოფორაძე, 

მიხეილ ბიჭია 

თათია უბერი 